ყველა სხვა მოსაკრებელი და საკომისიო, ასევე სხვა შემოსავლები და ხარჯები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით კონკრეტული ოპერაციის დასრულებასთან მიმართებაში, რომელიც ფასდება ფაქტიურად უზრუნველყოფილი მომსახურების საფუძველზე, როგორც მისაწოდებელი სრული მომსახურების შემადგენელი ნაწილი.

საოპერაციო იჯარასთან დაკავშირებული ხარჯები აღიარდება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის გამოყენებით საოპერაციო იჯარის ვადის ამოწურვამდე.

### 4.13 უცხოური ვალუტის გადაფასება

უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგებები აღირიცხება იმ გაცვლითი კურსის შესაბამისად, რომელიც არსებობს ოპერაციის თარიღისათვის. უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი გაცვლითი კურსის სხვაობები აისახება მოგება-ზარალის უწყისში იმ დღისათვის არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია ქართულ ლარში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისათვის გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. 2017 წლის 31 დეკემბრისათვის უცხოური ვალუტის ნაშთების ლარებში გადაყვანისათვის გამოყენებული ძირითადი განაკვეთი იყო:

| | 31-დეკ-18 | 31-დეკ-17 |
|---|---|---|
| აშშ დოლარი | 2.6766 | 2.5922 |
| ევრო | 3.0701 | 3.1044 |
| თურქული ლირა | 0.5076 | 0.6874 |
| რუსული რუბლი | 0.0385 | 0.0449 |
| ბრიტანული ფუნტი | 3.3955 | 3.5005 |
| შვეიცარული ფრანკი | 2.7268 | 2.6584 |

### 4.14 ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივები (გაცემული სესხები და მოთხოვნები) და ვალდებულებები (მიღეული სესხები და ვალდებულებები) ურთიერთგადაიფარება და აისახება ფინანსური მდგომარების ანგარიშგებაში წმინდა თანხით მხოლოდ მაშინ, როცა არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვის კანონიერი უფლება და არსებობს განზრახვა იმისა, რომ აღნიშნული თანხები ანაზღაურდეს წმინდა ღირებულებით ან მოხდეს აქტივების და ვალდებულებების ანაზღაურება ერთდროულად.

შემოსავლების და ხარჯების ურთიერთგადაფარვა არ ხდება, თუ ის არ მოითხოვება და ნებადართული არ არის ფასს-ის მიხედვით და არ არის თანდართული კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკაში.

### 4.15 ახალი და განახლებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (IFRSs)

2018 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა რიგი ახალი სტანდარტებისა, რომლებმაც იქონიეს მატერიალური გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებების მომზადებაზე. თავიანთი დატვირთვით ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილებებია:

ა) ***ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები***

2018 წლის პირველი იანვრიდან ფასს 9-მ ჩაანაცვლა ბასს 39 - ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და გაზომვა. ფასს 9 მოიცავს ფინანსური აქტივების გაუფასურების მოთხოვნებსა და მცირე შესწორებებს, რომლებიც ფინანსური აქტივების კლასიფიკაციისა და გაზომვის მოთხოვნებს ეხება. ფასს 9 მოიცავს შესწორებულ მითითებებს ფინანსური ინსტრუმენტების სწორ კლასიფიკაციასა და გაზომვაზე. მათ შორის ფინანსური აქტივების გაუფასურების გამოანგარიშების, განახლებულ სავარაუდო საკრედიტო ზარალის მოდელს და ჰეჯირების ახალ საბუღალტრო მოთხოვნებს. ასევე მოიცავს ბასს 39-ის მიხედვით ფინანსური აქტივების აღიარება-არ აღიარების მითითებებს.

ბ) ***ფასს 15 შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან***

ფასს 15 აყალიბებს ყოვლისმომცველ სტრუქტურას, რაც განსაზღვრავს თუ რამდენად, რა ღირებულებით და როდის უნდა აღიარდეს შემოსავალი. 2018 წლის პირველი იანვრიდან ფასს 15-მა ჩაანაცვლა შემოსავლების აღიარების არსებული პრინციპი, მათ შორის ბასს 18 - შემოსავლები და ბასს 11 - სამშენებლო კონტრაქტები. ფასს 15-ის ამოსავალი პრინციპი მდგომარეობს იმაში, რომ პირმა შემოსავალი ისე უნდა აღიაროს, რომ ამით ასახოს კლიენტისთვის ნაკისრი საქონლისა და მომსახურების გადაცემა ისეთი თანხით, რომელიც ასახავს ანაზღაურებას, რის მიღებასაც პირი ვარაუდობს ამ საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ. შემოსავლების ახალი სტანდარტი, შემოსავლების გამჟღავნების შესახებ, წარმოადგენს გაუმჯობესებულ მითითებებს ტრანზაქციებზე, რომლებიც სრულყოფილად არ იყო წარმოდგენილი.

ზემოთ ჩამოთვლილ ცვლილებებთან ერთად აღსანიშავია აგრეთვე შემდეგი ცვლილებები:

გ) წილობრივი დაფარვის ტრანზაქციების კლასიფიკაცია და შეფასება - ფასს 2-ის ცვლილება
დ) ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენება ფასს 4 სადაზღვევო კონტრაქტებში - ფასს 4-ის ცვლილება
ე) საინვესტიციო ქონების ტრანსფერები - ბასს 40-ის ცვლილება
ვ) ფაისს 22 უცხოური ვალუტის გარიგებები

### 4.16 სტანდარტები და ინტერპრეტაციები რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული

***ფასს 16 - იჯარა***

2016 წლის იანვარში ბასს-მა გამოსცა ახალი სტანდარტი იჯარის აღრიცხვისთვის - ფასს 16 "იჯარა". ხალი სტანდარტით მნიშვნელოვნად არ იცვლება იჯარის აღრიცხვა მეიჯარეებისთვის. თუმცა, მოიჯარეებს იგი ავალდებულებს იჯარების უმეტესობის თავიანთ ბალანსზე აღიარებას საიჯარო ვალდებულებების სახით, აქტივების შესაბამისი გამოყენების უფლებით. მოიჯარეებმა ყველა აღიარებული იჯარისთვის ერთიანი მოდელი უნდა გამოიყენონ, თუმცა მათ უფლება აქვთ არ აღიარონ "მოკლევადიანი" იჯარები და იჯარები "დაბალი ღირებულების მქონე" აქტივებით. ზოგადად, აღიარებულ იჯარაზე მოგების ან ზარალის აღიარების წესი დღეისათვის მოქმედი ფინანსური იჯარის აღრიცხვის წესის მსგავსი იქნება და საპროცენტო ხარჯი და საამორტიზაციო ანარიცხების აღიარება ცალკე მოხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ფასს 16 ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისთვის.
კომპანია აფასებს აღნიშნული ცვლილებების სავარაუდო გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

**შენიშვნა 5 კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები**

სააღრიცხვო პოლიტიკის შედგენისას, კომპანიის მენეჯმენტს მოეთხოვება გააკეთოს დაშვებები და შეფასებები აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე, რომლებიც ცალსახად ზუსტად ვერ განისაზღვრება სხვა წყაროებიდან.

შეფასებები და დაშვებები ეყრდნობა ისტორიულ გამოცდილებას და სხვა დაკავშირებულ ფაქტორებს. რეალური შედეგები ამ შეფასებებისგან შეიძლება განსხვავდებოდეს. დაშვებები და შეფასებები მუდმივად გადაიხედება. შეფასებების გადახედვა აისახება იმ პერიოდისათვის, როცა ის განხორციელდა, თუ გადახედვა ზემოქმედებს მიმდინარე და მომდევნო პერიოდებზე.

ქვემოთ მოცემულია მნიშვნელოვანი შეფასებები მომავალზე და სხვა ძირითადი წყაროები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის, რომლებიც შეიცავენ დიდ რისკს, რამაც შეიძლება გამოიწვიოს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების კორექტირება მომდევნო საანგარიშო პერიოდისათვის.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურეობის ვადა – ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურეობის ვადის შეფასება ეფუძნება მენეჯმენტის გამოცდილებას მსგავსი აქტივების შეფასებასთან მიმართებაში. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურეობის ვადის განსაზღვრისას მენეჯმენტი ითვალისწინებს სავარაუდო გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ გაუმართაობას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, სადაც ამ აქტივს უხდება მუშაობა. შეფასებებში ცვლილებებმა შეიძლება გამოიწვიოს მომავალში ცვეთის ხარჯის კორექტირება.

სესხის გაუფასურების ხარჯი - კომპანია სესხების და მოთხოვნების ამოღებადობის შეფასებას აკეთებს გამოცდილებაზე და მენეჯმენტის მსჯელობებზე დაყრდნობით და როდესაც დაასკვნის, რომ კომპანია სავარაუდოდ მთლიანად ვერ მიიღებს მისაღებ თანხებს მაშინ აღიარებს გაუფასურების ხარჯს. ამგვარად სესხების გაუფასურების ხარჯი დამოკიდებულია მენეჯმენტის შეფასებებზე და მსჯელობებზე და შესაძლოა რეალური დანახარჯები განსხვავდებოდეს იმისგან, რასაც მენეჯმენტი ამ ანგარიშგებაში წარადგენს.

გადასახადები - საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობა იძლევა სხვადასხვაგვარად ინტერპრეტირების საშუალებას. კომპანიის მენეჯმენტი აღიარებს ვალდებულებებს მოსალოდნელი დამატებითი საგადასახადო გაანგარიშებებისთვის საგადასახადო აუდიტის შეფასებების შედეგის საფუძველზე, არის თუ არა იმის ალბათობა, რომ კომპანიას დაეკისრება დამატებითი გადასახდები. როცა საბოლოო საგადასახდო შედეგები განსხვავდება თავდაპირველად აღრიცხული რაოდენობისგან, ეს სხვაობები გავლენას ახდენენ იმ პერიოდზე, როცა აღნიშნული განსაზღვრებები გაკეთდა.

უზრუნველყოფის საგნის რეალური ღირებულების შეფასება - მენეჯმენტი რეგულარულად განიხილავს უზრუნველყოფის საგნის საბაზრო ღირებულებას. მენეჯმენტი იყენებს საკუთარ გამოცდილებას რეალური ღირებულების დასაკორექტირებლად. უზრუნველყოფის მოცულობა დამოკიდებულებია მსესხებლის საკრედიტო რისკზე.

**შენიშვნა 6 ფული და ფულის ეკვივალენტები**

| | შენიშვნა | 31-დეკ-18 | 31-დეკ-17 |
|---|---|---|---|
| ნაღდი ფული | 6.1 | 6,202 | 867 |
| ფული ბანკში | 6.1 | 220,158 | 527,455 |
| **სულ** | | **226,360** | **528,322** |

**6.1 ფული და ფულის ეკვივალენტები ვალუტების მიხედვით**

| | 31-დეკ-18 | 31-დეკ-17 |
|---|---|---|
| ქართული ლარი (GEL) | 141,327 | 35,785 |
| აშშ დოლარი (USD) | 70,193 | 467,084 |
| ევრო (EUR) | 13,652 | 25,278 |
| დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი (GBP) | 1,188 | 175 |
| **სულ** | **226,360** | **528,322** |

კომპანიის ფულადი სახსრების უმეტესობა არის იმ ბანკებში, რომლებიც Fitch-ის მიერ შეფასებულია, როგორც B ის მქონე (მოკლევადიანი რეიტინგი), BB - ის მქონე (გრძელვადიანი რეიტინგი).

**შენიშვნა 7 გაცემული სესხები**

კომპანია სესხებს გასცემს ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე, ნებისმიერი მიზნობრიობით. კომპანია სესხებს გასცემს ლარში და აშშ დოლარში 1 თვიდან 12 წლამდე ვადით. გაცემული სესხების წლიური პროცენტი ძირითადად მერყეობს 20 პროცენტიდან 42 პროცენტამდე. ზოგიერთ შემთხვევაში სესხები გაცემულია ასევე 18% და 54%-შიც (2017 წლამდე გაცემული სესხები). დაფარვის გრაფიკის მიხედვით გაცემული სესხები 2 ჯგუფად იყოფა: სესხის ძირის ვადის ბოლოს დაფარვით და ანუიტეტის პრინციპით. გაცემული სესხები უზრუნველყოფილია უძრავი ქონებით, მოძრავი ქონებით და თავდებობიით, თუმცა გვხვდება არაუზრუნველყოფილი სესხებიც.

| | შენიშვნა | 31-დეკ-18 | 31-დეკ-17 |
|---|---|---|---|
| იპოთეკური სესხი | | 639,644 | 795,227 |
| ავტო ლომბარდი | | 315,126 | 754,834 |
| ოქროს ლომბარდი | | 200 | 1,209 |
| სამომხმარებლო სესხი | | 521,003 | 823,595 |
| თანხით უზრუნველყოფილი სესხი | | - | 65,660 |
| ბიზნეს სესხი | | - | 85,763 |
| დარიცხული პროცენტი | | 71,943 | 116,600 |
| **მთლიანი გაცემული სესხები** | **7.1** | **1,547,916** | **2,642,889** |
| *მინუს: გაუფასურების რეზერვი* | 7.4 | **(383,199)** | **(445,530)** |
| ***წმინდა გაცემული სესხები*** | | **1,164,717** | **2,197,359** |

**7.1 მთლიანი სასესხო პორტფელი ძირის და დარიცხული პროცენტის მიხედვით**

| | | 31-დეკ-18 | 31-დეკ-17 |
|---|---|---|---|
| სესხის ძირი | 7.2; 7.3; 7.4; 7.6 | 1,475,973 | 2,526,289 |
| დარიცხული პროცენტი | | 71,943 | 116,600 |
| **მთლიანი სასესხო პორტფელი** | | **1,547,916** | **2,642,889** |

**7.2 გაცემული სესხის ძირის განაწილება სესხის ვადიანობის მიხედვით**

| | 31-დეკ-18 | 31-დეკ-17 |
|---|---|---|
| 1 წელზე ნაკლები | 386,539 | 1,094,776 |
| 1-დან 3 წლამდე | 785,832 | 884,808 |
| 3-დან 5 წლამდე | 303,601 | 381,111 |
| 5 წელზე მეტი | - | 165,594 |
| **სულ გაცემული სესხის ძირი** | **1,475,973** | **2,526,289** |

**7.3 უზრუნველყოფის ანალიზი**

კომპანიის მიერ გაცემული სესხები უზრუნველყოფილია უძრავი ქონებით (მიწა, შენობა), ავტომობილით, ოქროთი.

ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს სესხის ძირის ნაშთების ანალიზს (სესხების გაუფასურების რეზერვის გამოკლების გარეშე) მათი შესაბამისი უზრუნველყოფის სამართლიან ღირებულებებთან მიმართებაში (გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯების გამოკლებით: რეალურ ღირებულებას გამოკლებული გირაოს გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯები):

**7.3 უზრუნველყოფის ანალიზი (გაგრძელება)**

| | 31-დეკ-18 | | 31-დეკ-17 | |
|---|---|---|---|---|
| | სესხის მიმდინარე ღირებულება | უზრუნველყოფის FVLCS * | სესხის მიმდინარე ღირებულება | უზრუნველყოფის FVLCS * |
| სამომხმარებლო სესხი | 521,003 | 1,064,609 | 889,255 | 4,277,481 |
| იპოთეკური სესხი | 639,644 | 3,251,124 | 795,227 | 1,853,429 |
| ავტო ლომბარდი | 315,126 | 669,075 | 754,834 | 1,117,296 |
| ოქროს ლომბარდი | 200 | 705 | 1,209 | 2,065 |
| ბიზნეს სესხი | - | - | 85,763 | 392,484 |
| **სულ** | **1,475,973** | **4,985,513** | **2,526,289** | **7,642,755** |

* FVLCS - უზრუნველყოფის რეალურ ღირებულებას გამოკლებული გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯები

**7.4 სესხების გაუფასურების რეზერვი**

მიუხედავად იმისა, რომ კომპანიის მიერ გაცემული ძირითადი სესხები უზრუნველყოფილია უძრავი ქონებით, ავტომობილით, მსესხებლისგან (ან მესამე პირისგან) მიღებული კრედიტით, გარანტიით, ძვირფასი ლითონებით/ქვებით ან ანტიკვარით, მენეჯმენტს მიზანშეწონილად მიაჩნია სესხების ვადაგადაცილების ხანგრძლივობის მიხედვით საეჭვო ვალების რეზერვის შექმნა. ამ რეზერვის დეტალები მოცემულია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში:

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

| **ვადაგადაცილებული დღეები** | სესხის თანხა | რეზერვის თანხა |
|---|---|---|
| 0 | 1,159,252 | 133,979 |
| 1-30 | 7,212 | 851 |
| 31-60 | 90,342 | 29,202 |
| 61-90 | - | - |
| 91-120 | - | - |
| 120-180 | 1,092 | 1,092 |
| 180< | 218,075 | 218,075 |
| **სულ** | **1,475,973** | **383,199** |

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

| **ვადაგადაცილებული დღეები** | სესხის თანხა | რეზერვის თანხა |
|---|---|---|
| 0 | 1,519,270 | 30,639 |
| 1-30 | 219,803 | 17,275 |
| 31-60 | 41,242 | 2,772 |
| 61-90 | 9,079 | 2,418 |
| 91-120 | 281 | 6 |
| 120-180 | 2,143 | 733 |
| 180< | 734,471 | 391,688 |
| **სულ** | **2,526,289** | **445,530** |

**7.4 სესხების გაუფასურების რეზერვი (გაგრძელება)**

**ცვლილება სესხის გაუფასურების რეზერვში**

| | 31-დეკ-18 | 31-დეკ-17 |
|---|---|---|
| ბალანსი ნაშთი 1 იანვრისთვის | 445,530 | 896,514 |
| პლიუს: მიმდინარე პერიოდის საეჭვო სესხები | (164,032) | (2,254,394) |
| მინუს: მიმდინარე პერიოდში ჩამოწერილი უიმედო სესხები | (219,167) | 1,393 |
| მინუს: აღდგენილი საეჭვო სესხები | - | 1,802,017 |
| მინუს: წინა პერიოდების კორექტირების ეფექტი | (445,530) | - |
| **ნაშთი 31 დეკემბრისთვის** | **(383,199)** | **445,530** |

**პორტფელის განაწილება გაცემული სესხების სახეობებით**

| | მთლიანი სესხები | ეტაპი 1 | ეტაპი 2 | ეტაპი 3 | მთლიანი ECL |
|---|---|---|---|---|---|
| უძრავი ქონებით | 639,505 | - | 76,725 | 171,238 | 247,963 |
| მესამე პირის გარანტიით | 492,058 | - | 62,744 | 45,319 | 108,063 |
| სატრანსპორტო საშუალებებით | 315,126 | - | 23,065 | - | 23,065 |
| აღჭურვილობით | 17,941 | - | - | - | - |
| საბლანკო | 11,143 | - | 1,499 | 2,610 | 4,108 |
| სხვა | 200 | - | - | - | - |
| **სულ** | **1,475,973** | **-** | **164,032** | **219,167** | **383,199** |

**7.6 გაცემული სესხები ეკონომიკური საქმიანობის მიხედვით**

| | **2018** | | **2017** | |
|---|---|---|---|---|
| | თანხა | % | თანხა | % |
| სამომხმარებლო სესხები | 1,442,540 | 40% | 2,329,238 | 41% |
| ტრანსპორტირება და კავშირგაბმულობა | - | 0% | - | 0% |
| ვაჭრობა და მომსახურება | 33,433 | 42% | 161,337 | 37% |
| დანარჩენი სფეროები | - | 0% | 35,715 | 30% |
| **სულ** | **1,475,973** | **82%** | **2,526,289** | **108%** |

**შენიშვნა 8 ძირითადი საშუალებები**

| 2018 წელი | მიწა | შენობა ნაგებობები | კომპიუტერული ტექნიკა | ავეჯი და მოწყობილობები | სხვა აქტივები | იჯარით აღებულ ობიექტზე გაწეული კაპ. დანახარჯები | **სულ** |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ისტორიული ღირებულება** | | | | | | | |
| ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრისთვის | 3,920 | 148,407 | 23,753 | 21,628 | 35,215 | 3,540 | **236,463** |
| დამატებები | - | - | 2,099 | 770 | 1,780 | - | **4,649** |
| გასვლები | (3,920) | (148,407) | - | - | - | - | **(152,327)** |
| ჩამოწერები | - | - | (1,138) | (1,247) | (3,518) | - | **(5,903)** |
| რეკლასიფიკაციები | - | - | - | - | - | - | - |
| **ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის** | **-** | **-** | **24,714** | **21,151** | **33,477** | **3,540** | **82,882** |
| **აკუმულირებული ცვეთა** | | | | | | | |
| ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრისთვის | - | (55,033) | (18,594) | (14,492) | (18,999) | (2,460) | **(109,578)** |
| პერიოდის ცვეთა | - | (1,682) | (2,282) | (1,545) | (5,552) | (697) | **(11,757)** |
| ჩამოწერები | - | 56,715 | 1,139 | 1,249 | 3,499 | - | **62,602** |
| **ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრისათვის** | **-** | **-** | **(19,737)** | **(14,788)** | **(21,052)** | **(3,157)** | **(58,734)** |
| **ნარჩენი ღირებულება** | | | | | | | |
| **ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრისთვის** | **3,920** | **93,374** | **5,159** | **7,136** | **16,216** | **1,080** | **126,885** |
| **ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის** | **-** | **-** | **4,977** | **6,363** | **12,425** | **383** | **24,148** |

| 2017 წელი | მიწა | შენობა ნაგებობები | კომპიუტერული ტექნიკა | ავეჯი და მოწყობილობები | სხვა აქტივები | იჯარით აღებულ ობიექტზე გაწეული კაპ. დანახარჯები | **სულ** |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ისტორიული ღირებულება** | | | | | | | |
| ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბრისთვის | 3,920 | 148,407 | 26,261 | 45,598 | 55,815 | 2,950 | **282,951** |
| დამატებები | - | 37,600 | 1,894 | 4,650 | - | 880 | **45,024** |
| ჩამოწერები | - | (37,600) | (4,402) | (28,620) | (20,600) | (290) | **(91,512)** |
| **ნაშთი 2017 წლის 31დეკემბრისთვის** | **3,920** | **148,407** | **23,753** | **21,628** | **35,215** | **3,540** | **236,463** |
| **აკუმულირებული ცვეთა** | | | | | | | |
| ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბრისთვის | - | (47,613) | (21,005) | (41,207) | (33,538) | (1,215) | **(144,578)** |
| პერიოდის ცვეთა | - | (8,830) | (1,991) | (1,905) | (6,061) | (1,254) | **(20,041)** |
| ჩამოწერები | - | 1,410 | 4,402 | 28,620 | 20,600 | 9 | **55,041** |
| **ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრისათვის** | **-** | **(55,033)** | **(18,594)** | **(14,492)** | **(18,999)** | **(2,460)** | **(109,578)** |
| **ნარჩენი ღირებულება** | | | | | | | |
| **ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბრისთვის** | **3,920** | **100,794** | **5,256** | **4,391** | **22,277** | **1,735** | **138,373** |
| **ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრისთვის** | **3,920** | **93,374** | **5,159** | **7,136** | **16,216** | **1,080** | **126,885** |

**შენიშვნა 9 არამატერიალური აქტივები**

2018 წელი

| | | პროგრამული უზრუნველყოფა | სულ არამატერიალური აქტივები |
|---|---|---|---|
| **ისტორიული ღირებულება** | | | |
| ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრისთვის | | 2,500 | **2,500** |
| დამატებები | | - | - |
| ჩამოწერები | | - | - |
| რეკლასიფიკაციები | | - | - |
| **ნაშთი 2018 წლის 31დეკემბრისთვის** | - | **2,500** | **2,500** |
| **აკუმულირებული ცვეთა** | | | |
| ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრისთვის | | (664) | **(664)** |
| პერიოდის ცვეთა | | (375) | **(375)** |
| ჩამოწერები | | - | - |
| **ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრისათვის** | - | **(1,039)** | **(1,039)** |
| **ნარჩენი ღირებულება** | | | |
| **ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრისთვის** | | **1,836** | **1,836** |
| **ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის** | - | **1,461** | **1,461** |

2017 წელი

| | პროგრამული უზრუნველყოფა | სულ არამატერიალური აქტივები |
|---|---|---|
| **ისტორიული ღირებულება** | | |
| ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბრისთვის | 24,203 | **24,203** |
| დამატებები | (21,703) | **(21,703)** |
| **ნაშთი 2017 წლის 31დეკემბრისთვის** | **2,500** | **2,500** |
| **აკუმულირებული ცვეთა** | | |
| ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბრისთვის | (21,992) | **(21,992)** |
| პერიოდის ცვეთა | (375) | **(375)** |
| აქტივების ჩამოწერა | 21,703 | **21,703** |
| **ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრისათვის** | **(664)** | **(664)** |
| **ნარჩენი ღირებულება** | | |
| **ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრისთვის** | **2,211** | **2,211** |
| **ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის** | **1,836** | **1,836** |

**შენიშვნა 10 გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები**

გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები მოიცავს ქ. თბილისში და რეგიონებში არსებულ აქტივებს რომელთა რეალიზაცია მენეჯმენტს გამიზნული აქვს უახლოესი 12 თვის განმავლობაში. მენეჯმენტს სჯერა, რომ ამ აქტივების გაყიდვა დიდი ალბათობით განხორციელდება და დაწყებული აქვს აქტივის გაყიდვასთან დაკავშირებული პროცედურები.

გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები ბალანსში წარმოდგენილია საბალანსო ღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. ფასსის მოთხოვნის მიხედვით ასეთი ტიპის აქტივებზე ცვეთა არ არის დარიცხული.

| | 31-დეკ-18 | 31-დეკ-17 |
|---|---|---|
| იპოთეკით დასაკუთრებული უძრავი ქონება | 138,128 | - |
| უძრავი ქონების გაუფასურების რეზერვი | (48,289) | - |
| **სულ** | **89,839** | **-** |

**შენიშვნა 11 სხვა აქტივები**

| | 31-დეკ-18 | 31-დეკ-17 |
|---|---|---|
| დებიტორული დავალიანება | 28,763 | 29,812 |
| მისაღები ჯარიმები და საკომისიოები | 12,000 | 36,705 |
| სხვა აქტივები | 4,388 | 5,279 |
| **სულ** | **45,151** | **71,796** |

**შენიშვნა 12 მიღებული სესხები**

| | 31-დეკ-18 | 31-დეკ-17 |
|---|---|---|
| სხვა პირებისგან მიღებული სესხები | 60,224 | 2,000,932 |
| გადასახდელი პროცენტი | 250 | 50,050 |
| **სულ** | **60,474** | **2,050,982** |

კომპანიას მიღებული აქვს სესხები დამფუძნებლებისგან, დაკავშირებული მხარეებისგან და სხვა არადაკავშირებული ფიზიკური და იურიდიული პირებისაგან. სესხების აღება ძირითადად ხდება აშშ დოლარში წლიური 7%-16% საპროცენტო განაკვეთით. სასესხო ხელშეკრულებების მიხედვით საპროცენტო განაკვეთები ფიქსირებულია, თუმცა მომავალში შესაძლოა შეიცვალოს. სესხის საკონტრაქტო ხანგრძლივობა მერყეობს 3-დან 24 თვემდე, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში, მხარეებს შორის მოლაპარაკების საფუძველზე შეიძლება კიდევ უფრო გახანგრძლივდეს.

**მიღებული სესხის ძირი და პროცენტის თანხების განაწილება ვადიანობის მიხედვით**

| | 31-დეკ-18 | 31-დეკ-17 |
|---|---|---|
| 1 წელზე ნაკლები | 60,474 | 1,961,574 |
| 1-დან 3 წლამდე | - | 89,408 |
| 3-დან 5 წლამდე | - | - |
| **სულ მიღებული სესხები** | **60,474** | **2,050,982** |

**შენიშვნა 12 მიღებული სესხები (გაგრძელება)**

შემდეგი ცხრილები აჩვენებს აღებული სესხების ძირი თანხის ცვლილებებს პერიოდში:

| 2018 წელი | იურიდიული პირები | ფიზიკური პირები | სულ |
|---|---|---|---|
| 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით | - | 2,050,982 | 2,050,982 |
| მიღებული სესხის ძირის თანხა | - | 935,465 | 935,465 |
| დარიცხული პროცენტი | - | 133,603 | 133,603 |
| გადახდილი ძირი | - | (2,876,172) | (2,876,172) |
| გადახდილი პროცენტი | - | (183,404) | (183,404) |
| 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით | - | **60,474** | **60,474** |

| 2017 წელი | იურიდიული პირები | ფიზიკური პირები | სულ |
|---|---|---|---|
| 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით | 105,458 | 3,302,479 | 3,407,937 |
| მიღებული სესხის ძირის თანხა | - | 3,216,109 | 3,216,109 |
| დარიცხული პროცენტი | 559 | 436,709 | 437,268 |
| გადახდილი ძირი | (100,000) | (4,486,940) | (4,586,940) |
| გადახდილი პროცენტი | (6,016) | (417,375) | (423,391) |
| 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით | **(0)** | **2,050,982** | **2,050,982** |

**შენიშვნა 13 საწესდებო კაპიტალი**

სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ალფა ექსპრესის საწესდებო კაპიტალი განსაზღვრულია ლარში კომპანიის წესდების თანახმად. დამტკიცებული და განაღდებული საწესდებო კაპიტალი 2018 წლის 31 დეკემბრისათვის შეადგენს 2,000,000 ლარს.

**შენიშვნა 14 საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები**

| | 2018 წელი | 2017 წელი |
|---|---|---|
| პერსონალის ხარჯები | 320,408.00 | 338,918 |
| იჯარის ხარჯები | 99,807.00 | 96,243 |
| იურიდიული და საკონსულტაციო ხარჯები | 15,000.00 | 7,080 |
| დაცვის ხარჯები | 12,179.00 | 12,036 |
| ცვეთა და ამორტიზაცია | 11,757.00 | 20,041 |
| რეკლამა | 8,058.00 | 11,620 |
| სატრანსპორტო საშუალებების იჯარა და შენახვის ხარჯები | 7,528.00 | 7,406 |
| საფოსტო-სატელეგრაფო ხარჯები | 6,147.00 | 7,030 |
| კომუნალური ხარჯები | 5,936.00 | 8,641 |
| საოფისე ხარჯები (იჯარა, ინვენტარი და ა.შ.) | 3,499.00 | 4,750 |
| შემოწირულობა და საწევრო | 2,760.00 | 2,760 |
| საგადასახადო ხარჯები | 1,059.00 | 2,915 |
| მივლინება და წამომადგენლობითი ხარჯები | 962.00 | 2,133 |
| საკანცელარიო ხარჯები | 883.00 | 914 |
| სხვა საერთო ხარჯები | 41,722.00 | 36,744 |
| **სულ** | **537,705** | **559,231** |

## შენიშვნა 15 ფინანსური რისკების მართვა

### 15.1 სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის სავალუტო კურსის მერყეობის რისკი, რომელიც უარყოფით გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსური მდგომარეობაზე და მომგებიანობაზე. სავალუტო რისკი წარმოიშობა უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივებისა და ვალდებულებებისგან.

კომპანიას მცირე რაოდენობით გააჩნია უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები - კომპანიის მიერ სესხების გაცემა და სესხის მიღება ძირითადად ხდება ეროვნულ ვალუტაში, დოლარში სესხის მიღება განხორციელდა მხოლოდ ერთხელ 2018 წლის განმავლობაში. აქედან გამომდინარე, სავალუტო კურსის ცვლილებიდან გამომდინარე რისკები მინიმალურია კომპანიისთვის.

მენეჯმენტი აკონტროლებს სავალუტო რისკს იმით, რომ ცდილობს აქტივები და ვალდებულებები ერთი და იმავე ვალუტაში ჰქონდეს.

ქვემოთ მოცემულია კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ცხრილი ვალუტების მიხედვით (შესაბამისი ეკვივალენტებით ლარში). ინვესტიციები არაფულად აქტივებში არ წარმოშობს სავალუტო რისკებს.

| 2018 წლის 31 დეკემბრისათვის | ლარი | დოლარი | ევრო | სხვა ვალუტები | **სულ** |
|---|---|---|---|---|---|
| | | 1 დოლარი = | 1 ევრო = | | |
| | | 2.6766 | 3.0701 | | |
| **ფინანსური აქტივები** | | | | | |
| ფული და ფულის ეკვივალენტები | 141,328 | 70,193 | 13,652 | 1,108 | 226,281 |
| გაცემული სესხები (წმინდა) | 1,164,717 | - | - | - | 1,164,717 |
| სხვა აქტივები | 45,151 | - | - | - | 45,151 |
| **სულ** | **1,351,196** | **70,193** | **13,652** | **1,108** | **1,436,149** |
| **ფინანსური ვალდებულებები** | | | | | |
| მიღებული სესხები | - | 60,474 | - | - | 60,474 |
| სხვა ვალდებულებები | (54,179) | 1,520 | - | - | (52,659) |
| **სულ** | **(54,179)** | **61,994** | **-** | **-** | **7,815** |
| **წმინდა სავალუტო პოზიცია** | **1,405,375** | **8,199** | **13,652** | **1,108** | |

**შენიშვნა 15 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)**

**15.1 სავალუტო რისკი (გაგრძელება)**

| 2017 წლის 31 დეკემბრისათვის | ლარი | დოლარი<br>1 დოლარი = 2.6468 ლარს | ევრო<br>1 ევრო = 2.7940 ლარს | სხვა ვალუტები | **სულ** |
|---|---|---|---|---|---|
| **ფინანსური აქტივები** | | | | | |
| ფული და ფულის ეკვივალენტები | 35,785 | 467,084 | 25,278 | 175 | 528,322 |
| გაცემული სესხები | 1,259,533 | 937,826 | - | - | 2,197,359 |
| სხვა აქტივები | 71,795 | - | - | - | 71,795 |
| **სულ** | **1,367,113** | **1,404,910** | **25,278** | **175** | **2,797,476** |
| **ფინანსური ვალდებულებები** | | | | | |
| მიღებული სესხები | 21,506 | 2,029,477 | - | - | 2,050,983 |
| სხვა ვალდებულებები | 24,397 | 940 | - | - | 25,337 |
| **სულ** | **45,903** | **2,030,417** | **-** | **-** | **2,076,320** |
| **წმინდა სავალუტო პოზიცია** | **1,321,210** | **(625,507)** | **25,278** | **175** | |

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ლარის მიმართ უცხოური ვალუტის კურსში ცვლილებების ზეგავლენის ანალიზი კომპანიის სრული შემოსავლების ანგარიშგებაზე სხვა ცვლადების უცვლელობის დროს. უარყოფითი თანხები წარმოადგენს წმინდა შემცირებას სრული შემოსავლების ანგარიშგებაში ან კაპიტალში, დადებითი თანხები კი ასახავს წმინდა შესაძლო ზრდას. საბაზისო ვალუტა არის ლარი. ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში.

| | **2018 წელი** | | **2017 წელი** |
|---|---|---|---|
| ვალუტა | ცვლილება კურსში | გავლენა მოგებაზე | გავლენა მოგებაზე |
| აშშ დოლარი | -10% | (820) | (62,551) |
| | -5% | (410) | (31,275) |
| | 5% | 410 | 31,275 |
| | 10% | 820 | 62,551 |

**15.2 ლიკვიდურობის რისკი**

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ კომპანია ვერ შეძლებს დროულად მის მიმართ არსებული ვალდებულებების დაფარვას. ლიკვიდურობის რისკი წარმოიშობა აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის შეუსაბამობისას.

მენეჯმენტი ასეთი ტიპის რისკების მართვას ახდენს ვადიანობის ანალიზით, განსაზღვრავს რა კომპანიის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისათვის. იმისათვის, რომ მართოს ლიკვიდურობის რისკი, კომპანია ახდენს მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების მუდმივ მონიტორინგს, რაც აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილია.

**შენიშვნა 15 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)**

**15.2 ლიკვიდურობის რისკი (გაგრძელება)**

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს ვადიანობის ანალიზს კომპანიის არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებზე დარჩენილი საკონტრაქტო ვადების მიხედვით. ქვემოთ წარმოდგენილი მონაცემები ეფუძნება კომპანიის ხელმძღვანელობის მიმართ მიწოდებულ ინფორმაციას.

| 2018 წლის 31 დეკემბრისათვის | 1 წელზე ნაკლები ვადის მქონე | 1-დან 3 წლამდე ვადის მქონე | 3-დან 5 წლამდე ვადის მქონე | 5 წელზე მეტი ვადის მქონე | სულ |
|---|---|---|---|---|---|
| **ფინანსური აქტივები** | | | | | |
| ფული და ფულის ეკვივალენტები | 226,360 | | | | 226,360 |
| გაცემული სესხები (წმინდა) | 1,164,717 | | | | 1,164,717 |
| საგადასახადო აქტივები | | | | | - |
| სხვა აქტივები | 54,126 | 12,000 | | | 66,126 |
| **სულ** | **1,445,203** | **12,000** | **-** | **-** | **1,457,203** |
| **ფინანსური ვალდებულებები** | | | | | |
| მიღებული სესხები | 60,474 | | | | 60,474 |
| გადასახდელი გადასახადები | 20,885 | | | | 20,885 |
| სხვა ვალდებულებები | 45,587 | | | | 45,587 |
| **სულ** | **126,946** | **-** | **-** | **-** | **126,946** |
| **ლიკვიდურობის სხვაობა** | **1,318,257** | **12,000** | **-** | **-** | **1,330,257** |
| **წმინდა ლიკვიდურობის სხვაობა** | **1,318,257** | **1,330,257** | **1,330,257** | **1,330,257** | |

| 2017 წლის 31 დეკემბრისათვის | 1 წელზე ნაკლები ვადის მქონე | 1-დან 3 წლამდე ვადის მქონე | 3-დან 5 წლამდე ვადის მქონე | 5 წელზე მეტი ვადის მქონე | სულ |
|---|---|---|---|---|---|
| **ფინანსური აქტივები** | | | | | |
| ფული და ფულის ეკვივალენტები | 35,785 | 467,084 | 25,278 | 175 | 528,322 |
| გაცემული სესხები (წმინდა) | 1,259,533 | 937,826 | - | - | 2,197,359 |
| სხვა აქტივები | 71,795 | - | - | - | 71,795 |
| **სულ** | **1,367,113** | **1,404,910** | **25,278** | **175** | **2,797,476** |
| **ფინანსური ვალდებულებები** | | | | | |
| მიღებული სესხები | 21,506 | 2,029,477 | - | - | 2,050,983 |
| სხვა ვალდებულებები | 24,397 | 940 | - | - | 25,337 |
| **სულ** | **45,903** | **2,030,417** | **-** | **-** | **2,076,320** |
| **ლიკვიდურობის სხვაობა** | **1,321,210** | **(625,507)** | **25,278** | **175** | **721,156** |
| **წმინდა ლიკვიდურობის სხვაობა** | **1,321,210** | **695,703** | **720,981** | **721,156** | |

## შენიშვნა 15 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

### 15.3 საპროცენტო რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საპროცენტო განაკვეთებში ცვლილებებიდან, რომელიც ზეგავლენას მოახდენს ფულად ნაკადებზე ან ფინანსური აქტივების რეალურ ღირებულებებზე. კომპანიის საოპერაციო შემოსავალი და ფულადი ნაკადები არ არის დამოკიდებული საპროცენტო განაკვეთების ცვლილებებზე, ვინაიდან მიუხედავად იმისა რომ კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი ოდენობის საპროცენტო განაკვეთის მატარებელი აქტივები და ვალდებულებები, ყველა ამ ინსტრუმენტს აქვს ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთები, რომელიც არ არის დამოკიდებული ბაზარზე არსებულ საპროცენტო განაკვეთების მერყეობაზე.

### 15.4 საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი, როდესაც ერთი მხარის მიერ ფინანსური ინსტრუმენტის ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვევს მეორე მხარის მიერ ფინანსური დანაკარგების მიღებას. საკრედიტო რისკი წარმოიშობა ფული და ფულის ეკვივალენტებიდან, სესხებიდან და მოთხოვნებიდან. მაქსიმალური საკრედიტო რისკი კომპანიისთვის [illegible]

| | 31-დეკ-18 | 31-დეკ-17 |
|---|---|---|
| ფული და ფულის ეკვივალენტები | 226,360 | 528,322 |
| გაცემული სესხები (წმინდა) | 1,164,717 | 2,197,359 |
| **სულ** | **1,391,077** | **2,725,681** |

კომპანიის ფულადი სახსრები განთავსებულია სანდო ფინანსურ ინსტიტუტებში და მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ არანაირი საკრედიტო რისკი მათ ფულად სახსრებს არ ემუქრება.

გაცემული სესხები არის ერთადერთი მუხლი, რომელიც წარმოშობს საკრედიტო რისკს კომპანიისათვის. კომპანია ამ რისკს მართავს სესხის გაცემის სანაცვლოდ უზრუნველყოფის მოთხოვნით და სესხი/უზრუნველყოფის კოეფიციენტის საკმარისად მაღალ დონეზე შენარჩუნებით, რათა მოხდეს ყველა შესაძლო დანაკარგების რისკის გადაფარვა.

კომპანიას გააჩნია პოლიტიკა და პროცედურები რისკების სამართავად, მათ შორის საკრედიტო კომიტეტი, რომელიც სასესხო აპლიკაციაში მოცემული ინფორმაციის ანალიზს ახდენს, რაც ამასთანავე აფასებს და ამცირებს საკრედიტო რისკს. საკრედიტო პოლიტიკის გადახედვა და დამტკიცება ხდება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ.

## შენიშვნა 16 ფინანსური აქტივები და ვალდებულებები: რეალური ღირებულებები და სააღრიცხვო კლასიფიკაციები

### 16.1 რეალური ღირებულებები და სააღრიცხვო კლასიფიკაციები

რეალური ღირებულების გამოთვლის მიზანია განისაზღვროს ის ღირებულება, რაც შეფასების თარიღისათვის შეიძლება მიღებული იქნას აქტივის გაყიდვიდან ან გადახდილი იქნას ვალდებულების დასაფარად ჩვეულებრივი ტრანზაქციის პირობებში ბაზრის მონაწილეთა შორის. მიუხედავად ამ მცდელობისა, რომ რეალურმა ღირებულებამ ასახოს ასეთი თანხა (რაც წინა წინადადებაშია ახსნილი), საოპერაციო გარემოსათვის დამახასიათებელი ჩვეულებრივი განუსაზღვრელობების და შეფასებებში შესაძლო სუბიექტური ფაქტორების არსებობის გამო, არ უნდა ვიგულისხმოთ, რომ რეალური ღირებულება ზუსტად ასახავს იმ თანხას რაც შეიძლება აქტივის დაუყოვნებელი გაყიდვის შემთხვევაში იქნას მიღებული ან ვალდებულების დაუყოვნებელი დაფარვისთვის შეიძლება იყოს საჭირო.

ყველა ფინანსური ინსტრუმენტის შეფასებული რეალური ღირებულება დაახლოებით მათი საბალანსო ღირებულების ტოლია. ყველა ფინანსური აქტივისა და ვალდებულების რეალური ღირებულება გამოითვლება ფულადი ნაკადების დისკონტირების მეთოდით, რომელიც ეფუძნება მომავალ ფულად ნაკადებს და მსგავსი ინსტრუმენტების დისკონტორების კოეფიციენტს საანგარიშო თარიღისათვის. კომპანია იყენებს შეფასების ფართოდ აღიარებულ მოდელებს ჩვეულებრივი და უფრო მარტივი ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების განსასაზღვრად, რომლებიც იყენებენ მხოლოდ თვალსაჩინო საბაზრო მონაცემებს და ხელმძღვანელობის მხრიდან მცირედი დაშვებებისა და შეფასებების გამოყენება სჭირდებათ.

## შენიშვნა 16 ფინანსური აქტივები და ვალდებულებები: რეალური ღირებულებები და სააღრიცხვო კლასიფიკაციები (გაგრძელება)

### 16.1 რეალური ღირებულებები და სააღრიცხვო კლასიფიკაციები (გაგრძელება)

კომპანია იყენებს შემდეგ დაშვებებს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შეფასებისას:

ა) 18-48%-იანი დისკონტირების განაკვეთი გამოიყენება კლიენტებზე გაცემული სესხებიდან მისაღები მომავალი ფულადი სახსრების დისკონტირებისთვის;

ბ) 8-12%-იანი დისკონტირების განაკვეთი გამოიყენება მიღებულ სესხებთან დაკავშირებული მომავალი ფულადი სახსრების გადახდების დისკონტირებისთვის.

### 16.2 რეალური ღირებულების იერარქია

კომპანია იყენებს შემდეგ იერარქიას სამართლიანი ღირებულების განსაზღვრისათვის:

*დონე 1* ანალოგიური ფინანსური ინსტრუმენტების კოტირებული (არაკორექტირებული) ფასები მოქმედ ბაზარზე.

*დონე 2* შემავალი მონაცემები გარდა იმისა, რაც პირველ დონეშია ჩაწერილი და რომლებიც ხელმისაწვდომია როგორც პირდაპირ (ფასები), ასევე ირიბად (ფასებისგან წარმოებული). ეს კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომლებიც შეფასებულია შემდეგი მონაცემების გამოყენებით: აქტიურ ბაზრებზე კოტირებული საბაზრო ფასები მსგავსი ფინანსური ინსტრუმენტებისთვის; კოტირებული ფასები მსგავსი ინსტრუმენტებისთვის, რაც განიხილება, როგორც ნაკლებად აქტიური; ან შეფასების სხვა მეთოდები, რომლის ფარგლებში ყველა მნიშვნელოვანი შემავალი მონაცემები ხელმისაწვდომია პირდაპირ ან ირიბად საბაზრო მონაცემებიდან გამომდინარე.

*დონე 3* არათვალსაჩინო რესურსები. აღნიშნული კატეგორია შედგება ყველა ინსტრუმენტისგან, რომლის ფარგლებში შეფასების მეთოდიკა მოიცავს მონაცემებს, რომლებიც არ ეფუძნება თვალსაჩინო მონაცემებს და ხელმისაწვდომი შემავალი მონაცემები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ინსტრუმენტის შეფასებაზე. აღნიშნული კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომელთა შეფასება ხდება მსგავსი ინსტრუმენტებისთვის კოტირებული ფასების საფუძველზე, რომლის ფარგლებში მნიშვნელოვანი არათვალსაჩინო კორექტირებები ან დაშვებებია საჭირო, რათა აისახოს სხვაობები ინსტრუმენტებს შორის.

## შენიშვნა 17 კაპიტალის ადეკვატურობა

მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს საქართველოს ეროვნული ბანკი უსაზღვრავს კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნებს. ეროვნული ბანკის მოთხოვნის თანახმად მიკროსაფინანსო ორგანიზაციისთვის კაპიტალის მინიმალური ოდენობა უნდა შეადგენდეს 1,000,000 ლარს. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ალფა ექსპრესის სააქციო კაპიტალი არის 2,000,000 ლარი შესაბამისად (2017: 1,524,000 ლარი), კომპანია აკმაყოფილებს მინიმალური საწესდებო კაპიტალის მოთხოვნებს.

**შენიშვნა 18 დაკავშირებული მხარეები**

ზოგადად, მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებული მხარეების ტრანზაქციების და ნაშთების დეტალები საანგარიშგებო პერიოდისათვის მოცემულია ქვემოთ:

| **ნაშთი დაკავშირებულ მხარეებთან 31-დეკ-2018** | გაცემული სესხი | მისაღები პროცენტი | მოკლევადიანი მოთხოვნები | მიღებული სესხი | გადასახდელი პროცენტი | გადახდილი პროცენტი |
|---|---|---|---|---|---|---|
| მეწილეები | 150,886 | 203 | 12,000 | - | - | - |
| უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრები | 1,805 | 22 | - | - | - | - |
| სხვა დაკავშირებული მხარეები | 1,020 | - | - | 60,224 | 250 | 2,007 |
| **სულ** | **153,711** | **225** | **12,000** | **60,224** | **250** | **2,007** |

| **ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან 2018 წელი** | საპროცენტო შემოსავალი | საპროცენტო ხარჯი | ხელფასის ხარჯი |
|---|---|---|---|
| მეწილეები | 2,331 | - | - |
| უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრები | 338 | - | 156,000 |
| სხვა დაკავშირებული მხარეები | 2 | 40,031 | - |
| **სულ** | **2,671** | **40,031** | **156,000** |

| **ნაშთი დაკავშირებულ მხარეებთან 31-დეკ-2017** | გაცემული სესხი | მისაღები პროცენტი | მიღებული სესხი | გადასახდელი პროცენტი | გადახდილი პროცენტი |
|---|---|---|---|---|---|
| მეწილეები | 100,000 | 2,350 | - | - | - |
| უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრები | 6,907 | 115 | - | - | - |
| სხვა დაკავშირებული მხარეები | 50,441 | 789 | 576,997 | 5,826 | 81,056 |
| **სულ** | **157,348** | **3,254** | **576,997** | **5,826** | **81,056** |

| **ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან 2017 წელი** | საპროცენტო შემოსავალი | საპროცენტო ხარჯი | ხელფასის ხარჯი |
|---|---|---|---|
| მეწილეები | 50,871 | - | - |
| უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრები | - | - | 198,488 |
| სხვა დაკავშირებული მხარეები | - | 68,101 | - |
| **სულ** | **50,871** | **68,101** | **198,488** |

## შენიშვნა 19 პირობითი ვალდებულებები

### 19.1 სასამართლო დავები

ბიზნესის ჩვეულებრივი ფუნქციონირების პირობებში, კომპანია წარმოადგენს სასამართლო პროცესის მხარეს. ანგარიშგების თარიღისათვის, გარდა ქვემოთ მოცემულისა, ხელმძღვანელობისათვის არ არის ცნობილი კომპანიის წინააღმდეგ აღძრული, შეჩერებული ან სასამართლოში დავის გადატანის რისკის მქონე დავების შესახებ, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვნად იმოქმედოს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე.

| სასამართლო პროცესები და სარჩელები: | **2018 წელი** | **2017 წელი** |
|---|---|---|
| მსესხებლები | 290,038 | - |
| სხვა | - | - |
| **სულ სასამართლო პროცესები** | **290,038** | **-** |

## შენიშვნა 20 საწარმოს უწყვეტობის განხილვა

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მენეჯმენტი განიხილავს საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რათა დარწმუნდეს, რომ ფინანსური ანგარიშგების წარდგენა საწარმოს უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე სამართლიანია. მენეჯმენტი მიიჩნევს და დარწმუნებულია, რომ კომპანიის უწყვეტ ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება და არც თვითონ აქვს კომპანიის ლიკვიდაციის ან საქმიანობის მნიშვნელოვანი შეზღუდვის გეგმები.

## შენიშვნა 21 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ბალანსის თარიღის შემდგომ ადგილი არ ჰქონია სხვა ისეთ მოვლენებს, რომლებიც გამოიწვევდა დამატებით შესწორებებს და ცვლილებებს მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

*****